ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3238983

ნომერი: AR1489983

თარიღი : 27.03.2017

გაცემის თარიღი : 09.06.2017

გაცნობის თარიღი : 09.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩუბინაშვილი , N 63 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლელა გულედანი პ/ნ 01019004522
- ვაჟა ფშაველას 16 ოფისი222

ორგანიზაცია:
- შპს სასკო კოდი: 205045636

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 13 ნოემბრის №ფ-1/39 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 27 მარტის NAR1489983 განცხადებით მომართა ლელა გულედანმა და მოითხოვა 2006 წლის 13 ნოემბრის №ფ-1/39 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 13 ნოემბრის №ფ-1/39 ქალაქთმშენებლობითი

პირობები მომზადებულია 1/16/1/8/5 (ფართობი 864 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულით რეგისტირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის დემონტაჟის და ახალი საოფისე შენობის აშენების მიზნით,
ამჟამად განმცხადებელი ითხოვს 2006 წლის 13 ნოემბრის №ფ-1/39 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილებას, კერძოდ, საპროექტო ობიექტად მრავალფუნქციური შენობის დაფიქსირებას, ფუნქციად კომერციული და საცხოვრებლის დაფიქსირებას და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის 3.9-მდე გაზრდას.
აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2017 წლის 06 აპრილის გაერთიანებულ სხდომაზე, სადაც ფუნქციის ცვლილებას და პარამეტრის მომატებას მიეცა დადებითი რეკომენდაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა ქალაქგეგმარებითი მთვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნია 2006 წლის 13 ნოემბრის №ფ-1/39 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 13 ნოემბრის №ფ-1/39 ქალაქთმშენებლობით პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს; მრავალფუნქციური შენობა; ფუნქციად: კომერციული და საცხოვრებელი;
2. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 13 ნოემბრის Nფ-1/39 ქალაქთმშენებლობით პირობებს დაემატოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 01 ივნისის N1-1249 ბრძანება;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 13 ნოემბრის Nფ-1/39 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.